

2007

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – ვერბალური და მათემატიკური – ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი 50 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე).

ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი. დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევასას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. მთაგრეხილი : მთა

- (ა) როიალი : კლავიში
- (ბ) ხერხემალი : მალა
- (გ) ასანთი : ღერი
- (დ) გზა : ჩიხი

2. გემოს შეგრძნება : ყნოსვა

- (ა) მოქმედება : მოტივი
- (ბ) მეხსიერება : მოგონება
- (გ) წარმოსახვა : ფანტაზია
- (დ) მხედველობა : სმენა

3. მისცა : ბოძება

- (ა) მივიდა : მიბრძანება
- (ბ) განიკურნა : გაჯანსაღება
- (გ) გაილუმპა : დასველება
- (დ) შეჭფიცა : დაპირება

4. მეტყველება : დიალოგი

- (ა) თვლა : ჩამოთვლა
- (ბ) კითხვა : გადაკითხვა
- (გ) ხატვა : მოხატვა
- (დ) წერა : მიმოწერა

5. ყურადღება : უგულისყუროდ

- (ა) მუდმივობა : სისტემატურად
- (ბ) დაგეგმვა : სპონტანურად
- (გ) უიმედობა : სკეპტიკურად
- (დ) დაცინვა : სარკასტულად

6. კატერი : ნიჩბიანი ნავი

- (ა) რაკეტა : თვითმფრინავი
- (ბ) პლანერი : პარაშუტი
- (გ) მოტოციკლი : ველოსიპედი
- (დ) ციგა : მარხილი

7. ქვევრი : მთვრალი

- (ა) ქურქი : გამთბარი
- (ბ) დანა : ბასრი
- (გ) ნალი : დაჭედილი
- (დ) საფულე : მდიდარი

8. გალავანი : ქვა

- (ა) ქალაქი : მოქალაქე
- (ბ) ტივი : მორი
- (გ) ბალი : მებაღე
- (დ) აივანი : რიკული

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

9. პიროვნებათა შორის მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორები დროთა განმავლობაში ცვლილებებს ----- . მაგალითად, ურთიერთობის საწყის ეტაპზე პარტნიორის გარკვეული თვისებები ----- მიმზიდველობაზე, ხოლო შემდგომში ამ თვისებათა როლი ----- მომდევნო საფეხურებზე ----- სხვა მახასიათებლების ზეგავლენა მიმზიდველობაზე.

- (ა) განიცდის / ძლიერ ზემოქმედებას ახდენს / უცვლელი რჩება, ამასთანავე, / თითქმის არ ვლინდება
- (ბ) ნაკლებად ექვემდებარება / ვერ მოახდენს ზემოქმედებას / უცვლელი რჩება, შესაბამისად, / მცირდება
- (გ) განიცდის / ძლიერ ზეგავლენას ახდენს / თანდათანობით მცირდება, სამაგიეროდ, / ძლიერდება
- (დ) ნაკლებად ექვემდებარება / ფარულ ზემოქმედებას ახდენს / უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მაშინ, როცა / აშკარად ვლინდება

10. ----- , რომ ოპტიკური ილუზია ----- მირაჟის მოვლენას, ----- უდაბნოში მყოფი გამოუცდელი ადამიანები მირაჟს ----- ობიექტად მიიჩნევენ.

- (ა) არაა დადასტურებული / საფუძვლად არ უდევს / ამიტომ / წარმოსახულ
- (ბ) ცნობილია / საფუძვლად უდევს / მაგრამ / რეალურ
- (გ) ცნობილია / საფუძვლად არ უდევს / მაგრამ / წარმოსახულ
- (დ) არაა დადასტურებული / საფუძვლად უდევს / ამიტომ / რეალურ

11. ბავშვი ხატავს იმას, რასაც ----- , და ხატავს არა ----- . მას შეუძლია, მაგალითად, ხე დახატოს ----- , ჩვეულებრივ, ფესვები არ ჩანს.

- (ა) წარმოიდგენს / ისე, როგორც ხედავს საგანს / ფესვებიანად, თუმცა
- (ბ) ხედავს / იმას, რასაც ამ საგანზე ფიქრობს / ფესვებიანად, თუმცა
- (გ) წარმოიდგენს / ისე, როგორც ხედავს საგანს / ფესვების გარეშე, რადგან
- (დ) ხედავს / იმას, რასაც ამ საგანზე ფიქრობს / ფესვებიანად, რადგან

12. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანთა რიტუალური ქცევა მიზანშეუწონელი და არაადეკვატურია. ----- , ამგვარი ქცევის ჩამოყალიბებას ისტორიულად ----- , რადგან ამით პირველყოფილი ადამიანი უხილავ მფარველებს იქმნიდა და ----- .

- (ა) ამის მიუხედავად / არავითარი ღირებულება არ ჰქონდა / თავის სპეციფიკურად ადამიანურ ბუნებას ავითარებდა
- (ბ) აქედან გამომდინარე / უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა / განვითარების უფრო მაღალ საფეხურს აღწევდა
- (გ) თუმცა / უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა / თავის სპეციფიკურად ადამიანურ ბუნებას ავითარებდა
- (დ) შესაბამისად / არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა / განვითარების უფრო მაღალ საფეხურს აღწევდა

13. ----- ვარსკვლავების განლაგება ----- , მაგრამ ეს შთაბეჭდილება ----- , როგორც კი თანავარსკვლავედების მთავარი ვარსკვლავების ადგილმდებარეობას ----- .

- (ა) ერთი შეხედვით, / ქაოსურია / მაშინვე გაქრება / განვსაზღვრავთ
- (ბ) ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ / გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება / მაშინვე გაქრება / ტელესკოპით დავაკვირდებით
- (გ) თუ ტელესკოპით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ / ქაოსურია / გაძლიერდება / დავიმახსოვრებთ
- (დ) თუ ტელესკოპით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ / არავითარ კანონზომიერებას არ ემყარება / მაშინვე გაქრება / ვერ აღმოვაჩენთ

ლოგია

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

14. მოცემულია:

- არ არსებობს დიდი საქმე დიდი დაბრკოლების გარეშე

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება გადმოსცემს ზუსტად ამ აფორიზმის შინაარსს?

- (ა) დიდი დაბრკოლება წინ ეღობება მხოლოდ დიდ საქმეს
- (ბ) ვინც დიდ საქმეს არ აკეთებს, არც დიდ დაბრკოლებას აწყდება
- (გ) თუ ადამიანს ცხოვრებაში შეხვედრია დიდი დაბრკოლება, მას დიდი საქმე უკეთებია
- (დ) როდესაც ადამიანი დიდ საქმეს აკეთებს, მას აუცილებლად შეხვედება დიდი დაბრკოლება

15. ტურისტული სააგენტო კლიენტებს სთავაზობდა დასვენებას დაახლოებით ერთნაირი ბუნებრივი პირობების მქონე ორ – A და B – კურორტზე. ის კლიენტები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა საშუალო ან საშუალოზე დაბალი იყო, ირჩევდნენ B კურორტს.

ექსპერტებმა ეს არჩევანი ახსნეს B კურორტზე სასტუმროებში ფასების სიმცირით.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მათებს დამაჯერებლობას ექსპერტთა მოსაზრებას?

- (ა) A კურორტზე სასტუმროებში სარემონტო სამუშაოები უფრო დიდი ხნის წინ ჩატარდა, ვიდრე – B კურორტზე
- (ბ) B კურორტზე გაცილებით ხშირია ელექტრომომარაგების პრობლემები, ვიდრე – A კურორტზე
- (გ) A კურორტზე გაცილებით ნაკლები გასართობი საშუალებებია, ვიდრე – B კურორტზე
- (დ) B კურორტი განთქმულია მინერალური წყლებით, რომლებსაც მეტი სამკურნალო თვისებები აქვს, ვიდრე – მინერალურ წყლებს A კურორტზე

16. მოცემულია:

- არსებობენ წიგნის მოყვარული ახალგაზრდები
- წიგნის მოყვარულ ახალგაზრდათა უმრავლესობა ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- (ა) ახალგაზრდების უმრავლესობა სწავლობს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე
- (ბ) ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მხოლოდ წიგნის მოყვარული ახალგაზრდები სწავლობენ
- (გ) წიგნის მოყვარული ახალგაზრდები მხოლოდ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლობენ
- (დ) ზემომოყვანილი პასუხებიდან – არც ერთი

17. მაგიდაზე დევს ორი კოლოფი, თეთრი და ლურჯი. თეთრს აწერია: „ამ კოლოფში დევს შოკოლადი, ლურჯში – სათამაშო“. ლურჯს კი აქვს შემდეგი წარწერა: „ერთ-ერთ კოლოფში დევს შოკოლადი, მეორეში – სათამაშო“. ამ წარწერებიდან მხოლოდ ერთი შეესაბამება რეალობას.

რა დევს თითოეულ კოლოფში?

	თეთრი კოლოფი	ლურჯი კოლოფი
(ა)	შოკოლადი	შოკოლადი
(ბ)	შოკოლადი	სათამაშო
(გ)	სათამაშო	შოკოლადი
(დ)	სათამაშო	სათამაშო

18. მოცემულია:

- A ფერმაში იმდენივე ძროხაა, რამდენიც – B ფერმაში
- A ფერმაში ძროხების უმრავლესობა შავი ფერისაა, ხოლო B ფერმაში ძროხების უმრავლესობა თეთრია
- A ფერმაში ყოველდღიურად იღებენ მეტ რძეს, ვიდრე – B ფერმაში

ამის საფუძველზე ფერმერებმა ივარაუდეს, რომ შავი ძროხა იძლევა მეტ რძეს, ვიდრე – თეთრი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება განამტკიცებს ფერმერთა ვარაუდს?

- (ა) B ფერმაში მოწველილი რძის რაოდენობა შავი ძროხების მომრავლებამდე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე – მათი მომრავლების შემდეგ
- (ბ) B ფერმაში ნაკლებად ითვალისწინებენ მეცხოველეობის თანამედროვე მიღწევებს, ვიდრე – A ფერმაში
- (გ) A ფერმაში მომუშავე პერსონალის რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე – B ფერმაში მომუშავეთა რაოდენობა
- (დ) A ფერმაში ძროხებს აძლევენ სპეციალურ საკვებს, რომელიც ზრდის წველადობას

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ძველ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ამა თუ იმ საქალაქო ცენტრთან ვანის ნაქალაქარის შესახლო გაიგივების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი მონაწილენი ვარაუდობდნენ, რომ ვანის ნაქალაქარი ახ. წ. I–II საუკუნეების ბერძენ და რომაელ მწერლებთან – პლინიუსთან და კლავდიოს პტოლემეაოსთან მოხსენიებული ქალაქი **სურიუმი** იყო. მაგრამ, პლინიუსის ცნობას თუ ვენდობით, მის დროს (ახ. წ. I საუკუნეში) კოლხეთის ყველა ქალაქი დანგრეული იყო და მხოლოდ სურიუმიღა „იდგა ძველებურად“. ვანის ძველი ქალაქი კი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში მთლიანად დაინგრა და პლინიუსის დროს მისი ნანგრევები თითქმის ერთსაუკუნოვანი მიწის ფენით იქნებოდა დაფარული. გარდა ამისა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება, ძველი სურიუმი დღევანდელი სვირის მიდამოებში მდებარეობდა.

ორიგინალური მოსაზრება წამოაყენა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ. მისი მტკიცებით, ახლანდელი ვანის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქი **ეა (აია)**, რომელიც „უკვე არსებობდა ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში და საკმაოდ ბრწყინავდა“. ლეგენდარულ **აიასთან** (თითქოსდა ძველი კოლხეთის დედაქალაქთან) ვანის ნაქალაქარის გაიგივების იდეა მართლაც საინტერესოა, მაგრამ იგი ვერაფრით ვერაა დასაბუთებული. ვანის მიდამოებში ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების საქალაქო დასახლების ნიშანკვალიც კი არ ჩანს (ვანის ნაქალაქარი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. V-I საუკუნეებით თარიღდება). ამასთან, აია ძველ ბერძნულ მწერლობაში სრულებითაც არაა ძველი კოლხეთის დედაქალაქი. აია ჰომეროსთან აღნიშნავდა ჯადოქარ კირკეს (კოლხთა მეფის აიეტის დის) ადგილსამყოფელ კუნძულს, შემდეგ კი, ჰეროდოტესთან და აპოლონიოს როდოსელთან, იგი გვევლინება მთელი კოლხეთის უძველეს სახელწოდებად, რომელიც მოგვიანებით თვით ბერძნების მიერ შეცდომით იქნა მიჩნეული ქალაქის სახელწოდებად.

გამოითქვა კიდევ ერთი მოსაზრება, თითქოს დღევანდელი ვანის მიდამოებში მდებარეობდა ის ქალაქი, რომელიც, აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, კოლხეთის დედაქალაქი იყო. ეს მოსაზრება რომ ვირწმუნოთ, მაშინ ვანის ნაქალაქარს უნდა ვუწოდოთ „**კუტაია**“, რადგან თვით აპოლონიოს როდოსელი აიეტის სატახტო ქალაქს და, მაშასადამე, კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრს „**კუტაიას**“ უწოდებს. მაგრამ ქალაქი „**კუტაია**“, კარგა ხანია, სავსებით მართებულადაა გაიგივებული დღევანდელ ქუთაისთან.

ისეთი რთული და სერიოზული საკითხის კვლევისას, როგორცაა წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ამა თუ იმ საქალაქო ცენტრთან ვანის ნაქალაქარის იდენტიფიცირება, პირველ რიგში, აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა სახის არქეოლოგიური ძეგლებია დღემდე ვანში აღმოჩენილი, რა დანიშნულებისაა თითოეული ნაგებობა და, შესაბამისად, რა ტიპისა შეიძლება იყოს ეს ქალაქი.

ძველი ქალაქის უმთავრესი ნაგებობანი ბორცვის სამ ძირითად ტერასაზეა აღმოჩენილი. ქვედა ტერასაზე განლაგებულია კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომლის ერთ-ერთი ორგანული ნაწილია ტაძარი-სამლოცველო. ამრიგად, ქალაქის შესასვლელშივე აგებულია საკულტო შენობა – „ღვთის კარი“. მისგან სამხრეთით მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების სახელზე აგებულია ტაძარი-მარანი. ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილია მრგვალი ტაძარი. საკულტო ნაგებობათა რთული კომპლექსი (ტაძარი, საკურთხეველი) გამოვლენილია ზედა ტერასაზეც – ბორცვის წვერზე. ნაქალაქარზე აღმოჩენილ ძვ. წ. III–I საუკუნეების სხვა ნაგებობათაგან ზოგიერთი – თავდაცვითი (გალავანი, კოშკები), ხოლო დანარჩენი საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. დღემდე არაა აღმოჩენილი აშკარად გამოხატული საცხოვრებელი სახლი. ასე რომ, არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ვანის ნაქალაქარი თითქოს არ ჰგავს ნამდვილ „საერო ქალაქებს“. აქ უნდა ყოფილიყო ძველი ქართული წარმართული კულტურისა და რელიგიის ცენტრი, თავისებური სატაძრო ქალაქი, იმავე ტიპისა, როგორც იყო ძველ ეგვიპტეში – კარნაკი, ხოლო საბერძნეთში – ოლიმპია და დელფი.

19. ჩამოთვლილთაგან რომელს ვერ გამოვიყენებთ ვანის სურიუმთან გაიგივების საწინააღმდეგო არგუმენტად?

- (ა) პლინიუსის ცნობით, ახ. წ. I საუკუნეში, სურიუმის გარდა, კოლხეთის ყველა ქალაქი დანგრეული იყო
- (ბ) სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება, რომ ძველი სურიუმი დღევანდელი სვირის მიდამოებში მდებარეობდა
- (გ) წერილობითი წყაროების თანახმად, ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებში ვანის ძველი ქალაქი მთლიანად დაინგრა
- (დ) ახ. წ. I–II საუკუნეების ბერძენ და რომაელ მწერლებთან – პლინიუსთან და კლავდიოს პტოლემეიოსთან – მოხსენიებულია ქალაქი სურიუმი

20. ტექსტის მიხედვით, აიას შესახებ შეიძლება ითქვას, რომ:

- (ა) პეროდოტემ და აპოლონიოს როდოსელმა აია მიიჩნიეს კოლხური ქალაქის უძველეს სახელწოდებად
- (ბ) ჰომეროსთან აია კოლხეთის სატახტო ქალაქია, სადაც ცხოვრობდა მეფე აიეტის და – ჯადოქარი კირკე
- (გ) ბერძენი მწერლის ცნობის თანახმად, აია კუნძულია, სადაც ცხოვრობდა კოლხეთის ძველი სამეფო ოჯახის წევრი
- (დ) ბერძენი ისტორიკოსებისთვის აია კოლხეთის სატახტო ქალაქის სახელწოდებაა, რომელიც მოგვიანებით მთელი კოლხეთის უძველეს სახელწოდებად იქნა მიჩნეული

21. ტექსტის I, II და III აბზაცებში წარმოდგენილია სამი მოსაზრება საქალაქო ცენტრებთან ვანის იდენტიფიცირების შესახებ. როგორ უკავშირდება ეს მოსაზრებები ერთმანეთს?

- (ა) I და III მოსაზრებები, გარკვეულწილად, ანალოგიურია: ორივეს ავტორები ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და მწერლების ცნობებს ემყარებიან, II მოსაზრება კი განსხვავდება მათგან – ის სრულიად ორიგინალურია
- (ბ) I და III მოსაზრებები, გარკვეულწილად, ანალოგიურია: ორივეში ვანი გაიგივებულია ძველ საქალაქო ცენტრებთან, II მოსაზრება კი მათგან განსხვავებულია: იმ ქალაქის ადგილმდებარეობისა და, საზოგადოდ, არსებობის საკითხი, რომელთანაც მოსაზრების ავტორი ვანს აიგივებს, გაურკვეველია
- (გ) I და II მოსაზრებები უპირისპირდება ერთმანეთს – თითოეული მათგანის მიხედვით, ვანი სხვადასხვა საქალაქო ცენტრთანაა გაიგივებული, III მოსაზრება კი კომპრომისულია, ვინაიდან აქ ვანი იდენტიფიცირებულია კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრთან
- (დ) I და II მოსაზრებები უპირისპირდება ერთმანეთს – თითოეულ მათგანში ვანის ნაქალაქართან დაკავშირებით სხვადასხვა თარიღი ფიგურირებს, III მოსაზრება კი განამტკიცებს II-ს, ვინაიდან ის იმავე ისტორიკოსის ცნობებს ეყრდნობა

22. რომელი ისტორიკოსებისა თუ მწერლების ცნობები გვეხმარება, რომ ვანი შეცდომით არ გავაიგივოთ რომელიმე ძველ საქალაქო ცენტრთან?

- (ა) პლინიუსისა და კლავდიოს პტოლემეაიოსის
- (ბ) პლინიუსისა და აპოლონიოს როდოსელის
- (გ) მხოლოდ აპოლონიოს როდოსელის
- (დ) მხოლოდ პლინიუსის

23. რა ურთიერთმიმართებაა I, II, III და IV აბზაცებს შორის?

- (ა) I, II და III აბზაცებში წამოჭრილია ერთი პრობლემა და მიმოხილულია საკითხის კვლევის სამი წარუმატებელი მცდელობა; IV აბზაცში კი პრობლემა გადაჭრილია
- (ბ) ოთხივე აბზაცს ტექსტში ანალოგიური ფუნქცია აქვს: ოთხივეში წარმოდგენილია საკითხის კვლევის განსხვავებული მიმართულებები, რომელთაგან მეცნიერულად ვერც ერთი ვერ მტკიცდება
- (გ) I, II და III აბზაცებში გადმოცემულია რამდენიმე მეცნიერის ურთიერთგანსხვავებული თვალსაზრისები ერთსა და იმავე საკითხზე, IV აბზაცში კი ავტორი მათ მოსაზრებებს დამაჯერებელ არგუმენტებს უპირისპირებს
- (დ) IV აბზაცში წამოჭრილია იგივე პრობლემა, რაც I, II და III აბზაცებშია მიმოხილული, თუმცა აქ კვლევის სრულიად განსხვავებული პერსპექტივაა დასახული

24. ტექსტის ავტორი გამოთქვამს ვარაუდს იმის თაობაზე, თუ რა ტიპის ქალაქი უნდა ყოფილიყო ვანი. ჩამოთვლილთაგან რომელი არ განამტკიცებს ამ ვარაუდს?

- (ა) დღემდე არაა აღმოჩენილი აშკარად გამოხატული საცხოვრებელი სახლი, ასე რომ, არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ძველი ვანი არ ჰგავს ნამდვილ საერო ქალაქებს
- (ბ) ნაქალაქარზე აღმოჩენილ ძვ. წ. III-I საუკუნეების სხვა ნაგებობათაგან ზოგიერთი თავდაცვითი (გალავანი, კოშკები), ხოლო დანარჩენი – საზოგადოებრივი დანიშნულებისაა
- (გ) ქალაქის კარიბჭესთან აგებულია ტაძარი-სამლოცველო, „ღვთის კარი“, ცენტრალურ ტერასაზე – მრგვალი ტაძარი, ზედა ტერასაზე – ტაძარი და საკურთხეველი
- (დ) ქალაქის კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის სამხრეთით აგებულია ტაძარი-მარანი მელვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების სახელზე

25. ტექსტის ავტორის კვლევის სტრატეგიისა და მის წინამორბედთა მეთოდების ურთიერთშედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- (ა) ტექსტის ავტორის კვლევა ემყარება მხოლოდ ვანის გათხრებზე მოძიებულ მასალას და, წინამორბედთა მსგავსად, არ ითვალისწინებს ბერძენ ან რომაელ ავტორთა ცნობებს
- (ბ) ტექსტის ავტორისთვის კვლევისას წარმმართველია ის ფაქტი, რომ ვანი საკულტო-სატაძრო ქალაქი იყო, სხვა მკვლევართათვის კი ვანი ჩვეულებრივი საერო ქალაქია
- (გ) ტექსტის ავტორისთვის კვლევისას ამოსავალია ვანში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ფუნქციური დატვირთვა, მის წინამორბედთათვის კი მთავარი საბუთი ბერძნულ-რომაული წყაროებია
- (დ) ტექსტის ავტორის კვლევა ემყარება ვანის ნაქალაქარის შედარებას ეგვიპტურ კარნაკსა და ბერძნულ ოლიმპიასა თუ დელფოსთან, სხვა მკვლევართათვის კი ვანის ტიპის ქალაქებია სურიუმი, აია და კუტაია

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

26. წერს : წერილი

- (ა) ყვავილობს : ყვავილი
- (ბ) ბალახობს : ბალახი
- (გ) უკრავს : საკრავი
- (დ) თხრის : თხრილი

27. მწყემსი : იალაღი

- (ა) სეისმოლოგი : ეპიცენტრი
- (ბ) რეჟისორი : კინოპაველიონი
- (გ) არქეოლოგი : მუზეუმი
- (დ) გრიმიორი : სცენა

28. სიბრაღული : თავის მოსაწყობა

- (ა) რეკორდი : შეჯიბრი
- (ბ) იმპულსი : მოქმედება
- (გ) ინტერესი : რეკლამა
- (დ) ამბოხი : რევოლუცია

29. ფარისეველი : სიყალბე

- (ა) ერთგული : ნდობა
- (ბ) გამჭრიახი : მიხვედრა
- (გ) გულჩვილი : მიტევება
- (დ) კეთილი : მოფერება

30. სამზარეულო : ჭურჭელი

- (ა) წისქვილი : ხორბალი
- (ბ) მალაზია : ვიტრინა
- (გ) სტამბა : გაზეთი
- (დ) თეატრი : ლეკორაცია

31. ექსპერიმენტი : კვლევის მეთოდი

- (ა) მეტყველება : კომუნიკაცია
- (ბ) წარმოსახვა : ფანტაზია
- (გ) სტიმული : რეაქცია
- (დ) თეორია : ჰიპოთეზა

32. ჯუნგლი : ტაიგა

- (ა) სპექტაკლი : სცენარი
- (ბ) პოემა : რომანი
- (გ) მუსიკა : სიმფონია
- (დ) ტექსტი : სქოლიო

33. ნაფოტი : ნაჯახი

- (ა) თივა : ბალახი
- (ბ) ფერი : ნახატი
- (გ) კვამლი : ბუხარი
- (დ) ტალღა : ზღვა

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

34. შუა საუკუნეების სპარსულ მინიატურებს შორის მეტ-ნაკლები სხვაობის ილუზიას უმთავრესად ----- ქმნის და არა ----- . რასაკვირველია, ზოგიერთი შემოქმედი უდავოდ გამოირჩევა მისივე სკოლის სხვა წარმომადგენელთა შორის, მაგრამ ----- ოსტატობით, დახვეწილობით, ----- – პრინციპულად განსხვავებული შემოქმედებით.

- (ა) სამხატვრო სკოლები / ცალკეული შემოქმედი / გამოირჩევა მხოლოდ / და არა
- (ბ) სამხატვრო სკოლები / ცალკეული შემოქმედი / გამოირჩევა არა მხოლოდ / არამედ
- (გ) ცალკეული შემოქმედი / სამხატვრო სკოლები / არ გამოირჩევა არც / და არც
- (დ) ცალკეული შემოქმედი / სამხატვრო სკოლები / გამოირჩევა როგორც / ასევე

35. ჩვენ ----- , გზააბნეულებივით დავბორიალობთ დროში, რომელიც ----- ,
ვოცნებობთ დროზე, რომელიც ----- , მაშინ, როდესაც ----- .

- (ა) ვცხოვრობთ წარსულის მოგონებებით / ჯერ არ გვეკუთვნის / მომავალში გველის / ვივიწყებთ ჩვენ მიერ განვლილ დროს
- (ბ) არ ვცხოვრობთ აწმყოთი / უკვე აღარ გვეკუთვნის / ჯერ არ გვეკუთვნის / უაზროდ ვფლანგავთ ჩვენთვის კუთვნილ დროს
- (გ) ვცხოვრობთ აწმყოთი / მომავალში გველის / უკვე აღარ გვეკუთვნის / უაზროდ ვფლანგავთ ჩვენ მიერ განვლილ დროს
- (დ) არ ვცხოვრობთ მხოლოდ წარსულის მოგონებებით / ჯერ არ გვეკუთვნის / უკვე აღარ გვეკუთვნის / არ ვფიქრობთ დროზე, რომელიც მომავალში გველის

36. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: პრაქტიკისთვის ღირებულ შედეგებს მეცნიერება მაშინ
მოიპოვებს, როდესაც ----- და ხსნის ----- ამოცანებს. თუმცა, ამ ფაქტის
პარადოქსულობა ----- , ვინაიდან ----- .

- (ა) სცილდება თეორიულ საკითხებს / აბსოლუტურად პრაქტიკულ / აშკარაა / ამ გზით მიღებული შედეგები ყოველთვის სასარგებლოა
- (ბ) არ წყდება ყოველდღიურობას / სავსებით პრაქტიკულ / აშკარაა / არ არსებობს უსარგებლო აღმოჩენები
- (გ) სცილდება ყოველდღიურ საკითხებს / სრულიად აბსტრაქტულ / მოჩვენებითია / არ არსებობს უსარგებლო აღმოჩენები
- (დ) არ სცილდება თეორიულ საკითხებს / სრულიად განყენებულ მეცნიერულ / მოჩვენებითია / ამ გზით მიღებული შედეგები უსარგებლოა

37. ერთ დიპლომატს უთქვამს, ენა იმისთვის მაქვს, რომ ჩემი აზრები ----- . ამ
ნათქვამში უფრო ----- , ვიდრე ----- , რადგან სინამდვილეში ვერავინ წაუვა
ენის საოცარ თვისებას: ----- პიროვნების სულიერი სამყარო.

- (ა) დავფარო / ენამახვილობაა / გონებამახვილობა / გამოამჟღავნოს
- (ბ) გამოვთქვაო / ენამახვილობაა / გონებამახვილობა / გამოავლინოს
- (გ) დავფარო / გონებამახვილობაა / ენამახვილობა / გამოამჟღავნოს
- (დ) გამოვთქვაო / გონებამახვილობაა / ენამახვილობა / შენიღბოს

ლოგოკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

38. სასკოლო შეჯიბრზე ფინალურ გარბენში მონაწილეობდნენ თეო, ნათია, ელენე, მარი და კატო. ფინალში:

- მარამ აჯობა ორ მორბენალს, რომლებმაც, თავის მხრივ, აჯობეს ნათიას
- კატომ აჯობა ორ მორბენალს, რომლებმაც, თავის მხრივ, აჯობეს ელენეს
- თეომ ფინიშის ხაზი გადაკვეთა ზუსტად მარის შემდეგ

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან დაკავებული ადგილების რომელი განაწილება შეესაბამება ამ მონაცემებს?

I	II	III	IV	V
(ა) მარი	თეო	კატო	ნათია	ელენე
(ბ) ელენე	თეო	ნათია	კატო	მარი
(გ) კატო	მარი	თეო	ელენე	ნათია
(დ) კატო	თეო	ელენე	მარი	ნათია

39. ხილის წვენების მწარმოებელი ფირმის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ახალი პროდუქციის გამოშვება. იმის დასადგენად, თუ ორი ახალი – ჟოლოს და მაცვლის – წვენიდან რომელს მიანიჭებდნენ უპირატესობას ახალგაზრდები, სადგეუსტაციოდ მოიწვიეს სტუდენტთა ჯგუფი. ჟოლოს წვენს მათ სთავაზობდნენ ვიწროყელიანი მაღალი ჭიქით, მაცვლისას კი – ფართოპირიანი დაბალი ჭიქით. მოწვეულ სტუდენტთა უმრავლესობამ უპირატესობა მაცვლის წვენს მიანიჭა. შესაბამისად, ფირმის ხელმძღვანელებმა ივარაუდეს, რომ მაცვლის წვენს უფრო სასიამოვნო გემო ჰქონდა, ვიდრე – ჟოლოსას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი განამტკიცებს ამ ვარაუდს?

- (ა) ჟოლოს წვენს უფრო ლამაზი შეფერილობა ჰქონდა, ვიდრე მაცვლისას
- (ბ) სტუდენტებმა იცოდნენ მაცვლის სამკურნალო თვისებების შესახებ, რამაც ზეგავლენა მოახდინა მათ არჩევანზე
- (გ) ფართოპირიანი დაბალი ჭიქა უფრო მოსახერხებელი იყო სადგეუსტაციოდ, ვიდრე – ვიწროყელიანი მაღალი ჭიქა
- (დ) ჭიქა, რომლითაც სტუდენტებს ჟოლოს წვენს სთავაზობდნენ, უფრო ნაკლები ტევადობისა იყო, ვიდრე ჭიქა, რომელშიც მაცვლის წვენი ესხა

40. მოცემულია:

- ყველაფერი გენიალური მარტივია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა ამ აფორიზმის ტოლფასი?

- (ა) ყველაფერი მარტივი გენიალურია
- (ბ) მხოლოდ გენიალური არის მარტივი
- (გ) რაც გენიალური არ არის, არ არის მარტივი
- (დ) არაფერი, რაც არ არის მარტივი, არ არის გენიალური

41. ყუთში დევს 10 წითელი, 8 ყვითელი და 5 მწვანე პატარა ბურთი. ყუთიდან ალაღბედზე ამოიღეს სამი ბურთი (მათგან ორი ან სამივე შეიძლება ყოფილიყო ერთი და იმავე ან სხვადასხვა ფერის).

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება არ შეიძლება განხორციელებულიყო ამის შედეგად?

- (ა) რომელიღაც ორი ფერის ბურთების რაოდენობა ყუთში გათანაბრდა
- (ბ) ერთ-ერთი ფერის ბურთების რაოდენობა ყუთში 3-ჯერ მეტი გახდა რომელიღაც მეორე ფერის ბურთების რაოდენობაზე
- (გ) ერთ-ერთი ფერის ბურთების რაოდენობა გაუთანაბრდა დანარჩენი ორი ფერის ბურთების საერთო რაოდენობას
- (დ) რომელიღაც ორი ფერის ბურთების საერთო რაოდენობა 2-ჯერ მეტი გახდა მესამე ფერის ბურთების რაოდენობაზე

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

კომუნიკაციის პროცესი, სამეტყველო ნიშნების გარდა, არავერბალური ნიშნების გამოყენებასაც გულისხმობს. არავერბალური სიგნალების ამოკითხვა ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი პირობაა, რადგან ის თანამოსაუბრის გრძნობებისა და აზრების წვდომაში გვეხმარება. ერთ-ერთ არავერბალურ გამომხატველ საშუალებას ოპტიკურ-კინესთეტიკური ნიშნების სისტემა წარმოადგენს, რომელიც ჟესტებს, მიმიკას, პანტომიმიკას მოიცავს. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანთა კომუნიკაციის პროცესში. ჟესტიკულაცია ამ შემთხვევაში რჩება კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად. თუმცა, ესა თუ ის ჟესტი შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობით იქნეს გამოყენებული. მაგალითად, განსხვავებულ კულტურებში თავის დახრა, დაქნევა სხვადასხვანაირად ფასდება – ეს მოქმედება ჩვენთან დასტურის, ხოლო ბულგარელებთან, პირიქით, უარყოფის ნიშანია. დრამატული ხელოვნების პედაგოგები და თეატრის რეჟისორები ასწავლიან მსახიობებს სპეციფიკურ ჟესტებს და ემოციის გამოხატვის ფორმებს, რომლებიც მათთვის სათანადო გრძნობებს აღძრავს. ადამიანი ბავშვობიდანვე ეუფლება ემოციების გამოხატვის არავერბალურ საშუალებებს და სწავლობს ამ სიგნალების „ამოკითხვას“.

არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას – მეტყველების თანმხლებ ხმოვან გამომხატველ ხერხებს – პარალინგვისტიკა შეისწავლის. მეტყველების პროცესში პაუზის გაკეთება და სხვა დამატებითი ნიშნები, ვთქვათ, გაცინება, ხმის აწევა, თვით მეტყველების ტემპი პარალინგვისტიკური ინფორმაციის ნიმუშებია. არავერბალური კომუნიკაციის ეს სისტემა დამატებითი სიტყვიერი მნიშვნელობებით კი არ ამდიდრებს ვერბალურ ინფორმაციას, არამედ აფიქსირებს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ნათქვამისა და თანამოსაუბრის მიმართ. ერთ-ერთ ექსპერიმენტში ცდისპირები უსმენდნენ ორი ადამიანის ხუთწუთიანი საუბრის ჩანაწერს, თითოეული მათგანის ხმა სხვადასხვა დინამიკიდან ისმოდა. A მოსაუბრის ხმის სიმაღლე 75 დეციბელი იყო, ხოლო B მოსაუბრისა – 70 დეციბელი. ამ თითქმის შეუმჩნეველმა სხვაობამ განაპირობა ის, რომ ცდისპირები მეტ ყურადღებას აქცევდნენ A მოსაუბრეს, უფრო მნიშვნელოვან როლს მიაწერდნენ მას საუბრის წარმართვაში და ახასიათებდნენ, როგორც უფრო ლოგიკურად მოაზროვნე და კეთილგანწყობილ ადამიანს. როდესაც დინამიკები ისე დაარეგულირეს, რომ უფრო ხმამაღლა უკვე B საუბრობდა, შთაბეჭდილება, თითქოს A დომინირებდა საუბრისას, გაცილებით შესუსტდა. ამასთანავე, უფრო კეთილგანწყობილ და ლოგიკურად მოაზროვნე პიროვნებად B აღიქმებოდა.

კომუნიკაციის კონტექსტის, გარე ვითარების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია კომუნიკაციის მონაწილეთა პოზიცია (განთავსება) სივრცესა და დროში. მაგალითად, პარტნიორების ერთმანეთის პირისპირ ყოფნა კონტაქტის დამყარებას, მის ხანგრძლივობას ხელს უწყობს. საუბრის დროს სათანადო დისტანციის დაცვა შეიძლება იყოს პარტნიორისადმი პატივისცემის გამომხატველი ან, პირიქით, უპატივცემულობას, მოურიდებლობას ნიშნავდეს. დროის ფაქტორის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მასაც ეკისრება სათანადო მნიშვნელობა, სემანტიკური დატვირთვა. მაგალითად, დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე დროულად მისვლა მოლაპარაკების მონაწილეებისადმი პატივისცემის გამოხატულებაა, ხოლო დაგვიანება – პირიქით. დადგენილია ინტიმურობის ხარისხის კავშირი ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა მანძილი კომუნიკაციის მონაწილეებს შორის – მანძილის ცვლილება თვალებით კონტაქტის სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა. ის „მხედველობითი ურთიერთობის“ მომწესრიგებელია.

ამრიგად, არავერბალურ საკომუნიკაციო სისტემებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნიკაციის პროცესში. ხშირად პირველი შთაბეჭდილება თანამოსაუბრის შესახებ სწორედ არავერბალური ფაქტორების ზეგავლენით იქმნება. ისინი არა მარტო აძლიერებს ვერბალური ინფორმაციის ზემოქმედებას, არამედ კომუნიკაციის პარტნიორთა განწყობასაც ავლენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანთა ქცევის რეგულირებაში.

42. ფრაზა, „არავერბალური სიგნალების ამოკითხვა ეფექტური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა“, ნიშნავს, რომ:

- (ა) არავერბალური სიგნალების გარეშე შეუძლებელია თანამოსაუბრის იმ გრძნობებისა და აზრების წვდომა, რომლებიც ვერბალურ ინფორმაციაშია ასახული
- (ბ) არავერბალური სიგნალების საშუალებით ვიღებთ დამატებით ინფორმაციას, რომელიც ხელს გვიწყობს ვერბალური ინფორმაციის ადეკვატურად გაგებაში
- (გ) მხოლოდ არავერბალური საშუალებების დაუფლების შემდეგაა შესაძლებელი თანამოსაუბრის ჭეშმარიტი გრძნობებისა და აზრების გაგება
- (დ) არავერბალური საშუალებები, ვერბალურთან შედარებით, გაცილებით უკეთ გადმოსცემენ აზრებსა და გრძნობებს

43. როდის შეიძლება იქცეს ოპტიკურ-კინესთეტიკური საშუალებები თანამოსაუბრეთა შორის გაუგებრობის წარმოშობის მიზეზად?

- (ა) როდესაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ადამიანებს უჭირთ ერთმანეთის გაგება
- (ბ) როდესაც თანამოსაუბრეებმა იციან, რომელ არავერბალურ ნიშნებს იყენებს, ჩვეულებრივ, მათი პარტნიორი
- (გ) როდესაც ერთსა და იმავე არავერბალურ სიგნალებს თანამოსაუბრეები განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ
- (დ) როდესაც ოპტიკურ-კინესთეტიკურ სიგნალებს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები იყენებენ

44. „ლინგვისტური“ ქართულად ენობრივს ნიშნავს, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „პარალინგვისტური“ ?

- (ა) ენობრივად გაუმართავს
- (ბ) ნაწილობრივ ენობრივს
- (გ) ენის წიაღში არსებულს
- (დ) ენობრივის მიღმა არსებულს

45. II აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- (ა) პარალინგვისტური საშუალებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსმენლის დამოკიდებულებაზე ნათქვამისა და მოსაუბრის მიმართ
- (ბ) პარალინგვისტურ საშუალებებს შორის ყველაზე ეფექტურია ხმამაღლა საუბარი
- (გ) მეტყველების თანმხლები ხმოვანი გამომხატველი ნიშნების საფუძველზე ნათქვამის მიმართ შექმნილი დამოკიდებულება ჩაენაცვლება ხოლმე სიტყვიერ მნიშვნელობებს
- (დ) მეტყველების თანმხლები ხმოვანი გამომხატველი ხერხები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საუბრის წარმართვაში

46. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ პარალინგვისტური სისტემის ზეგავლენის ნიმუშად?

- (ა) მაყურებელთა უკმაყოფილება ოპერის პრემიერით, ძირითადად, განპირობებული იყო მთავარი როლის შემსრულებლის ზედმეტი ემოციურობით
- (ბ) საბავშვო ბაღის აღსაზრდელი გოგონები საზეიმო კონცერტზე გასვლის წინ ერთმანეთს ჩურჩულით ამხნევებდნენ
- (გ) კონსილიუმზე უგულვებლყვეს იმ ექიმის მოსაზრება, რომელიც მონოტონურად და პაუზებით საუბრობდა
- (დ) ახალბედა ორატორი ძალზე ღელავდა და ამიტომ გამოსვლისას რამდენჯერმე გაუწყდა სიტყვა

47. რატომ შეიძლება მივიჩნიოთ სივრცითი და დროითი ფაქტორები კომუნიკაციის არავერბალურ ნიშანთა სისტემად?

- (ა) სივრცითი და დროითი ფაქტორები ხშირად კომუნიკაციის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს ავლენს
- (ბ) კომუნიკაციის სივრცითი და დროითი ფაქტორები მოსაუბრეთა ურთიერთპატივისცემას განაპირობებს
- (გ) სივრცითი და დროითი ფაქტორები ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესის ხანგრძლივობას
- (დ) სივრცითი და დროითი ფაქტორების სემანტიკური დატვირთვა განსაზღვრავს კომუნიკაციის კონტექსტს

48. ტექსტის მიხედვით, რა მიმართება შეიძლება დავინახოთ კომუნიკაციის მონაწილეებს შორის არსებულ დისტანციას, თვალებით კონტაქტსა და ინტიმურობის ხარისხს შორის?

- (ა) ინტიმურობის ხარისხი დამოკიდებულია თვალებით კონტაქტის შესაძლებლობაზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომუნიკაციის მონაწილეებს შორის არსებულ დისტანციაზე
- (ბ) თვალებით კონტაქტის შესაძლებლობა დამოკიდებულია ინტიმურობის ხარისხზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომუნიკაციის მონაწილეებს შორის არსებულ დისტანციაზე
- (გ) კომუნიკაციის მონაწილეებს შორის არსებული დისტანცია დამოკიდებულია თვალებით კონტაქტის შესაძლებლობაზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინტიმურობის ხარისხზე
- (დ) ინტიმურობის ხარისხი დამოკიდებულია კომუნიკაციის მონაწილეებს შორის არსებულ დისტანციაზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია თვალებით კონტაქტის შესაძლებლობაზე

49. ქვემოთ მოყვანილია ადამიანის არავერბალური ქცევის რამდენიმე ნიმუში:

1. სწრაფად საუბარი
2. წარბის შეკვრა
3. მაგიდის თავში ჯდომა
4. ფეხის დაბაკუნება

არავერბალური კომუნიკაციის ნიშნთა რომელ სისტემებს შეესაბამება ეს ქცევები, ანუ პასუხის ვარიანტებიდან რომელია მართებული?

- (ა) 1 – ოპტიკურ-კინესთეტიკური, 2 – პარალინგვისტური, 3 – დროით-სივრცითი, 4 – პარალინგვისტური
- (ბ) 1 – პარალინგვისტური, 2 – დროით-სივრცითი, 3 – ოპტიკურ-კინესთეტიკური, 4 – ოპტიკურ-კინესთეტიკური
- (გ) 1 – დროით-სივრცითი, 2 – ოპტიკურ-კინესთეტიკური, 3 – პარალინგვისტური, 4 – დროით-სივრცითი
- (დ) 1 – პარალინგვისტური, 2 – ოპტიკურ-კინესთეტიკური, 3 – დროით-სივრცითი, 4 – ოპტიკურ-კინესთეტიკური

50. რა არის ტექსტის ძირითადი სათქმელი?

- (ა) ადამიანი ბავშვობიდანვე ეუფლება ემოციის გამოხატვის არავერბალურ საშუალებებს, რომლებიც სხვადასხვაგვარია განსხვავებულ კულტურებში
- (ბ) არავერბალური სიგნალები ამდიდრებს კომუნიკაციის პროცესში პარტნიორისთვის მიწოდებულ ვერბალურ ინფორმაციას დამატებითი სიტყვიერი მნიშვნელობებით
- (გ) არავერბალური ფაქტორების ზეგავლენით კომუნიკაციის მონაწილეებს ექმნებათ პირველი შთაბეჭდილება ერთმანეთის შესახებ
- (დ) არავერბალური ნიშნები კომუნიკაციის პროცესში როგორც თვითგამოხატვის, ასევე პარტნიორზე ზემოქმედების, ანუ ქცევის რეგულაციის საშუალებებად გვევლინება

შავი სამუშაოსათვის

მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი – წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;
1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი: a რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$;

3. ხარისხი: $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$ (n -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

5. სიჩქარე: $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$


7. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2;$$

$$(a-b)^2 = a^2 - 2ab + b^2;$$

$$(a+b)(a-b) = a^2 - b^2.$$


8. ნახაზზე კუთხე შეიძლება კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით იყოს მონიშნული, მართი კუთხე კი – პატარა კვადრატით.



ჩანაწერი: $\angle A$ აღნიშნავს A კუთხის სიდიდეს.

9. პარალელური წრფეები:

• ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.



10. სამკუთხედი:

- სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180° -ის ტოლია.


• **პითაგორას თეორემა:**

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი ტოლია კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის:

$$AB^2 = AC^2 + BC^2 \text{ (იხ. ნახაზი).}$$

- სამკუთხედის ფართობი

სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია $S = \frac{ah}{2}$.



11. ოთხკუთხედი:

- ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამია 360° .

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$.


• პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.

12. წრე, წრეწირი:

• წრეწირის სიგრძე L მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$.

რიცხვი π მესამედის სიზუსტით 3,14-ის ტოლია.


• r რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით: $S = \pi r^2$.



13. მართკუთხა პარალელებიპედი:

• მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$;

- კუბის შემთხვევაში: $a = b = c$.



რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);


თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	-----	-----	--

51.	$17,3 - 15,3 + 13,3 - 11,3 + 9,3$	$15,3 - 14,3 + 13,3 - 12,3 + 11,3$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------------	------------------------------------	-----------------

52.	17^2	2^{17}	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	--------	----------	-----------------

53.	<p>O წერტილი წრეწირის ცენტრია, ხოლო A და B წერტილები ამ წრეწირზე მდებარეობს (იხ. ნახაზი). OAB კუთხის სიდიდე 70°-ზე ნაკლებია.</p> 	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<p>OA რადიუსის სიგრძე</p> <p>AB მონაკვეთის სიგრძე</p>	

54.	$b < 0$	(ა) (ბ) (გ) (დ)
	$\frac{12}{b}$	$-\frac{3}{b}$

55.	$7\frac{23}{29} : 8\frac{1}{2}$	$3\frac{3}{8} : 3\frac{1}{8}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	---------------------------------	-------------------------------	-----------------

56. ტოლუჯრედებიან ბაღზე, რომლის ერთი უჯრედის სიგრძეც და სიგანეც 1 სმ-ის ტოლია, გამუჭებულია ოთხკუთხედი, რომლის წვეროები ბაღის კვანძებს ემთხვევა (იხ. ნახაზი).

ამ ოთხკუთხედის ფართობი

16 კვ. სმ

(ა) (ბ) (გ) (დ)

57. m უდიდესი ნატურალური რიცხვია, რომელზეც უნაშთოდ იყოფა რიცხვები 28 და 32;
 n უდიდესი ნატურალური რიცხვია, რომელზეც უნაშთოდ იყოფა რიცხვები 20 და 25.

m

n

(ა) (ბ) (გ) (დ)

58. წრიულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, სანერგეში ნერგების საერთო რაოდენობის რა ნაწილია მუხის, რცხილისა და წიფლის ნერგების რაოდენობა. სვეტოვან დიაგრამაზე კი წარმოდგენილია მხოლოდ მუხისა და წიფლის ნერგების რაოდენობები.

რცხილის ნერგების რაოდენობა

350


(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

59. 6 მილიონ 700 ათასზე 3-ჯერ მეტია:

- (ა) 9 მილიონ 703 ათასი
- (ბ) 18 მილიონ 700 ათასი
- (გ) 20 მილიონ 100 ათასი
- (დ) 20 მილიონ 700 ათასი
- (ე) 21 მილიონ 100 ათასი

60. რიცხვთა ღერძის A, B, C და D წერტილებიდან A და B წერტილების კოორდინატები მითითებულია ნახაზზე. B წერტილი AC მონაკვეთის შუაწერტილია, C წერტილი კი უფრო ახლოსაა D წერტილთან, ვიდრე B წერტილთან.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს D წერტილის კოორდინატი?

- (ა) 67
- (ბ) 68
- (გ) 69
- (დ) 74
- (ე) 75

61. c რიცხვი a რიცხვზე b -ჯერ მეტია. $a - c =$

- (ა) b
- (ბ) $a - b$
- (გ) $1 - ab$
- (დ) $a(a - b)$
- (ე) $a(1 - b)$

62. დაზიანებული კალკულატორის ღილაკებიდან მხოლოდ „5“-იანის, „7“-იანის და „შეკრების“ შესაბამისი ღილაკები მუშაობს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვის მიღებაა შეუძლებელი ამ კალკულატორის ეკრანზე?

- (ა) 12
- (ბ) 15
- (გ) 22
- (დ) 23
- (ე) 26

მონაცემთა ანალიზი

არასამთავრობო ორგანიზაციამ შეამოწმა რამდენიმე ადგილობრივი და უცხოური ფირმის მიერ წარმოებული არაყანი იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება ის ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ცხრილში მოცემულია, როგორი უნდა იყოს ნორმით თითოეული ფირმის მიერ წარმოებული არაყნის ცხიმის შემცირება და ენერგეტიკული ღირებულება, რა მაჩვენებლებია მითითებული ეტიკეტზე და რისი ტოლია ისინი ფაქტობრივად. ასევე, მოცემულია არაყნის ფაქტობრივი წონა და წონა ეტიკეტის მიხედვით.

	შირშის დასახელება	სხიმინოვა %			ენერგეტიკ. ღირებ. (კკა/100გრ)			პროდუქციის წონა (გრ)	
		ნორმით (არანაკლებ)	ეტიკეტზე	ფაქტობრ.	ნორმით	ეტიკეტზე	ფაქტობრ.	ეტიკეტზე	ფაქტობრ.
ალკო-ლო-რივი	გაბი	15	12	11	160-230	190	186	400	390
	ლაგო	15	10	8	160-230	165	158	200	194
	ნობათი	15	12	13	160-230	204	204	500	472
უსო-ური	სოლიო	15	15	15	160-230	172	157	500	504
	ვაბი	15	13	14	160-230	225	228	400	386
	მიურავი	15	16	15	160-230	218	212	200	200

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

63. რამდენით ნაკლებია ფირმა „ლეგო“ მიერ წარმოებული არაჟნის ცხიმინობის ფაქტობრივი მაჩვენებელი ნორმით გათვალისწინებულ მინიმალურ მაჩვენებელზე?

- (ა) 1-ით
- (ბ) 2-ით
- (გ) 4-ით
- (დ) 6-ით
- (ე) 7-ით

64. რამდენია ისეთი ფირმა, რომელთა მიერ წარმოებული არაჟნის ენერგეტიკული ღირებულების ფაქტობრივი მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ნაკლებია ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელზე?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5
- (ე) 6

65. დასაშვებია, რომ არაჟნის ფაქტობრივი წონა მაქსიმუმ 3%-ით განსხვავდებოდეს ეტიკეტზე მითითებული წონისგან. რომელია ის ფირმები, რომელთა მიერ წარმოებული არაჟანი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას?

- (ა) „ლეგო“ და „მიურეი“
- (ბ) „ნობათი“ და „ვაბი“
- (გ) „ცემი“ და „სოლიო“
- (დ) „ლეგო“ და „სოლიო“
- (ე) „ცემი“ და „ვაბი“

66. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მართებული?


- (ა) ადგილობრივი ფირმების მიერ წარმოებული არაჟნის ცხიმინობის ფაქტობრივი მაჩვენებელი ყოველთვის შეესაბამებოდა ნორმას, უცხოურებისა კი – არა
- (ბ) უცხოური ფირმების მიერ წარმოებული არაჟნის ცხიმინობის ფაქტობრივი მაჩვენებელი ყოველთვის შეესაბამებოდა ნორმას, ადგილობრივებისა კი – არა
- (გ) ზოგიერთი უცხოური ფირმის მიერ წარმოებული არაჟნის ენერგეტიკული ღირებულების მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში იყო, მაგრამ ის არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელს
- (დ) ზოგიერთი ადგილობრივი ფირმის მიერ წარმოებული არაჟნის ენერგეტიკული ღირებულების მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში იყო, მაგრამ ის არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელს
- (ე) ადგილობრივი ფირმების მიერ წარმოებული არაჟნის ცხიმინობის ფაქტობრივი მაჩვენებელი ყოველთვის ნაკლები იყო ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელზე, უცხოურებისა კი – არა

ამოცანები

67. გიორგის უნდა შეესრულებინა მოქმედება $238,7 - 124,9$. მან 3-იანის ნაცვლად შეცდომით გადაწერა 5-იანი და ისე შეასრულა გამოკლება. სწორი პასუხის მისაღებად გიორგის მიერ მიღებულ შედეგს უნდა:

- (ა) დაემატოს 2
- (ბ) გამოაკლდეს 2
- (გ) დაემატოს 8
- (დ) დაემატოს 20
- (ე) გამოაკლდეს 20

68. საერთო წვეროს მქონე ორი კვადრატის გვერდებით შედგენილი კუთხეებიდან ერთ-ერთის სიდიდეა 65° (იხ. ნახაზი). რამდენი გრადუსია α კუთხის სიდიდე?



- (ა) 90°
- (ბ) 95°
- (გ) 110°
- (დ) 115°
- (ე) 130°

69. მიმდევრობა 10 წევრისაგან შედგება. ყოველი წევრი, დაწყებული მეორიდან, წინაზე 4-ით მეტია. მიმდევრობის წევრებიდან 25-ზე ნაკლებია მხოლოდ 5 წევრი. ჩამოთვლილთაგან რისი ტოლი შეიძლება იყოს ამ მიმდევრობის პირველი წევრი?

- (ა) 4
- (ბ) 6
- (გ) 9
- (დ) 11
- (ე) 12


70. 25%-ით გაიაფების შემდეგ 1 მეტრი ქსოვილის ღირებულება 9 ლარი გახდა. რამდენი ლარი ღირებულა 1 მეტრი ქსოვილი გაიაფებამდე?

- (ა) 20
- (ბ) 16
- (გ) 14
- (დ) 12
- (ე) 10

71. თუ ზაქრო მთელი თავისი ფულით 2 ერთნაირ სკამს იყიდდა, მას 20 ლარი დარჩებოდა. 4 ისეთივე სკამს კი ზაქრო იმავე თანხით ვერ იყიდდა – 70 ლარი დააკლდებოდა. რამდენი ლარი ჰქონია ზაქროს?

- (ა) 60
- (ბ) 90
- (გ) 110
- (დ) 120
- (ე) 140

72. a წრეწირის რადიუსის სიგრძეა 12 სმ, ხოლო b -სი – 18 სმ (იხ. ნახაზი). იმ მონაკვეთებიდან, რომელთა ერთი ბოლო a წრეწირზეა, ხოლო მეორე – b წრეწირზე, ყველაზე მოკლე მონაკვეთის სიგრძეა 4 სმ. რამდენი სანტიმეტრია ასეთი მონაკვეთებიდან ყველაზე გრძელი მონაკვეთის სიგრძე?



- (ა) 30 სმ
- (ბ) 54 სმ
- (გ) 60 სმ
- (დ) 64 სმ
- (ე) 68 სმ

73. სამ თაროზე სულ 54 წიგნი აწყვია. თუ პირველი თაროდან მესამეზე გადავიტანთ 4 წიგნს, ხოლო მეორე თაროდან – 3 წიგნს, მაშინ სამივე თაროზე წიგნების რაოდენობა გათანაბრდება. რამდენი წიგნი აწყვია მესამე თაროზე?

- (ა) 7
- (ბ) 11
- (გ) 19
- (დ) 23
- (ე) 25

74. მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 60 სმ, ხოლო სიგანე – 12 სმ, დაყოფილია 80 ტოლ კვადრატად. რამდენი სანტიმეტრია დაყოფის შედეგად მიღებული თითოეული კვადრატის გვერდის სიგრძე?

- (ა) 3
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 12

75. წყალი აუზში ერთი მილით ჩაედინება, მეორით კი გარეთ გაედინება. თუ მხოლოდ პირველი მილია გახსნილი, მაშინ ცარიელი აუზის ავსებას 5 სთ სჭირდება. თუ მხოლოდ მეორე მილია გახსნილი, მაშინ სავსე აუზის დაცლას y სთ სჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მილია გახსნილი, მაშინ ცარიელი აუზის ასავსებად 20 საათია საჭირო. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ტოლობაა მართებული?

- (ა) $\frac{1}{5} + \frac{1}{20} = \frac{1}{y}$
- (ბ) $\frac{y}{5} - \frac{y}{20} = y$
- (გ) $20y - 5y = 1$
- (დ) $\frac{1}{20}y = \frac{1}{5}y$
- (ე) $\frac{1}{5} - \frac{1}{y} = \frac{1}{20}$

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	-----	-----	--

76.	8 ბოთლ ღვინოში 50 ლარზე მეტი გადაიხადეს.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	1 ბოთლი ღვინის ღირებულება	6,5 ლარი	

77.	ერთმანეთის ტოლი ოთხი პატარა წრე დიდი წრის შიგნით მდებარეობს (იხ. ნახაზი). ამ ოთხი წრიდან თითოეულის რადიუსის სიგრძე 3-ჯერ ნაკლებია დიდი წრის რადიუსის სიგრძეზე.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	დიდი წრის გამუქებული ნაწილის ფართობი	პატარა წრეების ფართობთა ჯამი	

78.	$27^2 - 2 \cdot 27 \cdot 18 + 18^2$	9^2	(ა) (ბ) (გ) (დ)
------------	-------------------------------------	-------	-----------------

79.	წრის რადიუსის სიგრძე კვადრატის გვერდის სიგრძის ტოლია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ამ წრის ფართობის ნახევარი	ამ კვადრატის ფართობი	

80.	ერთ დახლზე ერთი და იმავე წონის საზამთროები აწყვია, მეორეზე – ერთი და იმავე წონის ნესვები. საზამთროს წონის $\frac{1}{3}$ ნაწილი ნესვის წონის $\frac{1}{2}$ ნაწილის ტოლია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	2 ცალი საზამთროს წონა	3 ცალი ნესვის წონა	

81.	სკოლაში გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია. ფრიადოსან ვაჟთა რაოდენობა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8%-ია, ხოლო ფრიადოსან გოგონათა რაოდენობა – გოგონათა საერთო რაოდენობის 15%.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ფრიადოსან ვაჟთა რაოდენობა	ფრიადოსან გოგონათა რაოდენობა	

82.	წრეწირზე მონიშნულია რამდენიმე წერტილი, რომელთაგან ერთი წითელია, ხოლო დანარჩენი – ლურჯი.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	იმ მონაკვეთების რაოდენობა, რომელთა ბოლოები ლურჯი წერტილებია	იმ სამკუთხედების რაოდენობა, რომელთა ერთი წვერო წითელია, დანარჩენი – ლურჯი	

ამოცანები

83. ყუთში სათამაშოების საერთო რაოდენობის $\frac{3}{4}$ ნაწილი ბურთებია. ბურთების რაოდენობის $\frac{1}{3}$ ნაწილი წითელია. სულ რამდენი სათამაშოა ყუთში, თუ ამ ყუთში წითელი ბურთების რაოდენობა 8-ის ტოლია?


- (ა) 16
- (ბ) 24
- (გ) 28
- (დ) 32
- (ე) 36

84. მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთის გეგმა ისეთი მართკუთხედია, რომლის სიგრძე და სიგანე მიწის ნაკვეთის სიგრძის და სიგანის პროპორციულია.

მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთის სიგრძეა 300 მ, სიგანე – 120 მ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ამ ნაკვეთის გეგმის სიგრძე და სიგანე?

- (ა) 30 მმ და 14 მმ
- (ბ) 25 მმ და 12 მმ
- (გ) 15 მმ და 5 მმ
- (დ) 50 მმ და 25 მმ
- (ე) 40 მმ და 16 მმ

85. ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედი დაყოფილია ტოლ კვადრატებად და ტოლ სამკუთხედებად, რომელთაგან ზოგიერთი გამუქებულია (იხ. ნახაზი).



ამ სამკუთხედის გამუქებული ნაწილის ფართობი
 ამ სამკუთხედის ფართობი =

- (ა) $\frac{1}{3}$
- (ბ) $\frac{1}{4}$
- (გ) $\frac{1}{6}$
- (დ) $\frac{2}{7}$
- (ე) $\frac{4}{9}$


86. ჩაიფიქრეს ორი რიცხვი, ერთი – მარცხენა სვეტიდან, მეორე – მარჯვენა სვეტიდან. მაქსიმუმ რისი ტოლი შეიძლება იყოს ჩაფიქრებული რიცხვების ნამრავლი?

-5	$2\frac{3}{8}$
$\frac{2}{7}$	-9
-2	7
5,1	$-\frac{11}{13}$

- (ა) 12
- (ბ) $\frac{55}{13}$
- (გ) 35,7
- (დ) 45
- (ე) 45,9

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე მოცემულია, ერთ-ერთი ფირმის თანამშრომელ ქალთა რამდენმა პროცენტმა და მამაკაცთა რამდენმა პროცენტმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები 1991-1996 წლებში.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

87. რომელ წელს გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თანამშრომელ მამაკაცთა 11%-მა?

- (ა) 1992
- (ბ) 1993
- (გ) 1994
- (დ) 1995
- (ე) 1996

88. ფირმის თანამშრომელ ქალთა რამდენ პროცენტს არ გაუვლია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები 1996 წელს?

- (ა) 84
- (ბ) 76
- (გ) 72
- (დ) 66
- (ე) 16

89. ცნობილია, რომ 1992 წელს თანამშრომელ მამაკაცთა რაოდენობა 3,5-ჯერ მეტი იყო ქალთა რაოდენობაზე. ქალებთან შედარებით რამდენჯერ მეტმა მამაკაცმა გაიარა ამ წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები?

- (ა) 2,5-ჯერ
- (ბ) 3-ჯერ
- (გ) 3,5-ჯერ
- (დ) 4-ჯერ
- (ე) 4,5-ჯერ

90. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული, დიაგრამის მიხედვით?


- (ა) ყოველ წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიოდა თანამშრომელ ქალთა მეთედზე მეტი
- (ბ) ყოველ წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიოდა თანამშრომელ მამაკაცთა მეთედზე მეტი
- (გ) ყოველ წელს ქალ თანამშრომელთა უფრო მეტი პროცენტი იმაღლებდა კვალიფიკაციას, ვიდრე – მამაკაცი თანამშრომლებისა
- (დ) 1992 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს იმ ქალ თანამშრომელთა პროცენტული წილი, რომლებიც იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს
- (ე) 1992 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს პროცენტული წილი იმ მამაკაცი თანამშრომლებისა, რომლებიც იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს

ამოცანები

91. მთამსვლელების ჯგუფის წევრთა 40% არაპროფესიონალი მთამსვლელი იყო. მწვერვალზე ასვლა ამ ჯგუფიდან ყველა პროფესიონალმა მთამსვლელმა შეძლო, არაპროფესიონალებიდან კი – მხოლოდ ნახევარმა. მწვერვალზე ასულ მთამსვლელთაგან რამდენი პროცენტი იყო არაპროფესიონალი?

- (ა) 15%
- (ბ) 18%
- (გ) 25%
- (დ) 30%
- (ე) 33%

92. კვადრატის გვერდის სიგრძეა 3 სმ, ხოლო მართკუთხედის სიგრძეა 5 სმ, სიგანე კი – 4 სმ. მათი გაერთიანებით მიღებული ექვსკუთხედი დიაგონალით გაყოფილია ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი – გამუქებულია (იხ. ნახაზი).



რამდენი კვადრატული სანტიმეტრით მეტია გამუქებული ნაწილის ფართობი გაუმუქებელი ნაწილის ფართობზე?

- (ა) 6-ით
- (ბ) 5-ით
- (გ) 4-ით
- (დ) 3-ით
- (ე) 2-ით

93. a და b ნულისგან განსხვავებული ნებისმიერი რიცხვებია. ვთქვათ, $*$ -ით აღნიშნულია ისეთი ოპერაცია, რომ $a * b = \frac{a-b}{ab}$. რისი ტოლია $1 * (2 * 3)$?

- (ა) 6
- (ბ) $1\frac{1}{3}$
- (გ) 0
- (დ) $-\frac{1}{6}$
- (ე) -7

94. ერთ-ერთი ტომის ხალხი მხოლოდ 4 ბგერას იყენებს – 1 ხმოვანსა და 3 თანხმოვანს. მათი ყოველი სიტყვა მხოლოდ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ბგერას შეიცავს და ამ ბგერებიდან ერთი მაინც აუცილებლად ხმოვანია. მაქსიმუმ რამდენ განსხვავებულ სიტყვას შეიძლება იყენებდეს ამ ტომის ხალხი?

- (ა) 6
- (ბ) 7
- (გ) 8
- (დ) 9
- (ე) 10

95. ერთი კუბის მოცულობა 125-ჯერ მეტია მეორე კუბის მოცულობაზე. რამდენჯერ მეტია პირველი კუბის წახნაგის ფართობი მეორე კუბის წახნაგის ფართობზე?

- (ა) 5-ჯერ
- (ბ) 10-ჯერ
- (გ) 15-ჯერ
- (დ) 20-ჯერ
- (ე) 25-ჯერ


96. n ნატურალური რიცხვია. n -ის 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთია 4. რისი ტოლი იქნება $2n$ -ის 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

97. მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის გამჭვირვალე ყუთი თოკით ისეა შეკრული, რომ თოკის ნაწილები (გარდა კვანძებისა) პარალელეპიპედის წიბოების პარალელურია (იხ. ნახაზი).

ჩამოთვლილთაგან რა სიგრძის თოკი შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ თოკის იმ ნაწილის სიგრძე, რომელიც კვანძებისთვისაა საჭირო, არ აღემატება 20 სმ-ს?

- (ა) 160 სმ
- (ბ) 230 სმ
- (გ) 270 სმ
- (დ) 330 სმ
- (ე) 380 სმ



98. m რიცხვის ნახევარი n რიცხვის 80%-ს უდრის. $\frac{n}{m} =$

- (ა) $\frac{5}{8}$
- (ბ) 1
- (გ) $\frac{8}{3}$
- (დ) 1,8
- (ე) 2,4

99. მანანას სახლში მრგვალი მაგიდა ედგა. მან გადაწყვიტა ამ მაგიდისთვის მოექსოვა წრიული ფორმის სუფრა, რომლის დიამეტრის სიგრძე 2 მ უნდა ყოფილიყო. მანანა ყოველდღე, ერთი და იმავე ტემპით, ერთი და იმავე დროის განმავლობაში ქსოვდა. 3 დღის მუშაობის შემდეგ მას უკვე ჰქონდა წრიული ფორმის ნაქსოვი, რომლის დიამეტრის სიგრძე 1 მ იყო. კიდევ რამდენი დღე დასჭირდებოდა მანანას სუფრის ბოლომდე მოსაქსოვად?

- (ა) 3
- (ბ) 6
- (გ) 9
- (დ) 11
- (ე) 14

100. დადებით რიცხვთა სასრული მიმდევრობის სიმკვრივის მაჩვენებელი ვუწოდოთ ამ მიმდევრობის წევრთა შორის უდიდესისა და უმცირესის ნამრავლის მნიშვნელობას. მაგალითად, 8, 3, 0,5, 4, 9, 2 მიმდევრობის სიმკვრივის მაჩვენებელია $9 \cdot 0,5 = 4,5$.

მოცემულია დადებით რიცხვთა სასრული მიმდევრობა, რომლის ლუწნომრიან წევრთაგან შედგენილი მიმდევრობის სიმკვრივის მაჩვენებელი 4-ის ტოლია, ხოლო კენტნომრიან წევრთაგან შედგენილი მიმდევრობისა 12-ის ტოლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მოცემული მიმდევრობის სიმკვრივის მაჩვენებელი?

- (ა) 3
- (ბ) 6
- (გ) 16
- (დ) 27
- (ე) 48



ზოგადი უსარკმის ტესტის
პასუხების ფურცელი

შტრიხკოდის ადგილი

პროგრამა არჩეულ პასუხად აღიქვამს შემდეგ სიმბოლოს

შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად

პირველი ნაწილი

აგასურობები								სინაგაფორები					ლურბიას				ტაქსები								
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
ა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ა
ბ	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ბ
გ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	გ
დ	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დ
26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	
ა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ა
ბ	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ბ
გ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	გ
დ	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	დ

მეორე ნაწილი

რასობრივი უსარკმის								სპიკსები				მინსიების აგასურობები				სპიკსები									
51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	
ა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ა
ბ	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ბ
გ	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	გ
დ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დ
ე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	ე
76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	
ა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ა
ბ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	ბ
გ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	გ
დ	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დ
ე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ე

* გავეცანი როგორც ტესტის ასევე პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ დავიწყო მუშაობა *